სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №344

17.06. 2021წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) - ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ - იურიდიულ ან ფიზიკურ პირი, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ „დღე“, „კვირა“, „თვე“.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, მის: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-3კმ. საიდენტიფიკაციო კოდი: 218083222; სახელმწიფო ხაზინა კოდი:TRESGE22 წარმოდგენილი რექტორის მოადგილის, შტაბის უფროსის, პ-კ იმედა გვრიტიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და

მეორეს მხრივ, შპს „ფირსთ მედი“, მისამართი: ქ. ქუთაისი, ა.წერეთლის ქ.№111, საიდენტიფიკაციო კოდი: 412749753 , მომსახურე ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22, ანგარიშის №GE10BG0000000162157082; წარმოდგენილი დირექტორის, რაჟდენ ფაიტიანცის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“).

3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ, ელექტრონული ტენდერის საშუალებით (NAT210009661) სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვა cpv33100000 თანდართული დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს **2935** (ორი ათას ცხრაას ოცდათხუთმეტი) ლარს, შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთვის საჭირო ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები განისაზღვრება დანართის შესაბამისად.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული შესყიდვის ობიექტი 2021 წლის განმავლობაში პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-3კმ.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების მე-4 მუხლში მითითებული თანხის ფარგლებში, ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება, ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.4 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე აკადემიის მხრიდან კონტროლს განახორციელებს აკადემიის ლაზარეთის უფროსი.

6.2 კოორდინატორის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

6.3 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მხოლოდ მიღება-ჩაბარების გაფორმების საფუძველზე, რომელსაც ამზადებს და ხელს აწერს ხელშეკრულების კოორდინატორი და მიმწოდებელი.

6.4 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

6.6 ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შესყიდვის ობიექტი მოწოდებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

7. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

8. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ:

- შემსყიდველს მიეწოდება ხარისხიანი და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული შესყიდვის ობიექტი.
- მისაწოდებელი საქონლის ვარგისიანობის ვადა უნდა შეადგენდეს საერთო ვარდგისიანობის ვადის არა ნაკლებ 70%-ს, მისი მიწოდების დღიდან.
- თუ მიწოდებელი საქონლის ვარგისოანობის ვადა აღმოჩნდება საერთო ვარგისიანობის ვადაზე 70%-ით ნაკლები, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს საქონლის შეცვლა ახლით.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში.

9.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის საფასურის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. სუბკონტრაქტორები

12.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02% ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ისა.

14.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულების 5.2 და 9.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ასანაზღაურებელი თანხის 0.02% ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3% -ისა.

14.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე.

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2 თუ მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. კონფიდენციალურობა

17.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც ცნობილი გახდება მათთვის საქმიანი ურთიერთობისას.

17.2 კონფიდენციალურობის დაცვის აღნიშნული მოვალეობა ძალაში რჩება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

19. სხვა პირობები

19.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის
რექტორის მოადგილე შტაბის უფროსი

LEPL DAVID AGMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
Digitally signed by LEPL DAVID AGMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
Date: 2021.06.17 15:18:44 +04'00'

პოლკოვნიკი იმედა გვრიტიშვილი

ხელმოწერა, ბეჭედი

შპს „ფირსთ მედი"-ს დირექტორი

Rajden Phaitiants
Digitally signed by Rajden Phaitiants
Date: 2021.06.17 19:09:28 +04'00'

რაჯდენ ფაიტიანცი

ხელმოწერა, ბეჭედი

დანართი

	დასახელება	მწარმოებელი ქვეყანა /მწარმოებელი	განზ.	რ-ბა	ერთ.ფასი	ღირებულება
1	იოდიფორმი	რუსეთი/ Vladmiva	ცალი	1	25	25
2	ლიდოკაინის სპრეი 10%	უნგრეთი/ გედეონ რიხტერი	ცალი	2	15	30
3	ენდორფილი	შვეიცარია/ PD	ცალი	1	140	140
4	შტრიფსი ფერადი სხვადასხვა აბრაზივობის	რუსეთი/ Торн	ცალი	700	0.3	210
5	სარეტრაქციო ძაფი მედიუმი	კორეა/ SC Clabol	ცალი	2	30	60
6	ბორები (ალისებური) სხვადასხვა ზომის	იაპონია/ Mani	ცალი	30	2	60
7	კაპილორი	რუსეთი/ Vladmiva	ცალი	1	30	30
8	რასპატორი	პაკისტანი/ ASIM INSTRUMENTS	ცალი	20	5	100
9	ავზი 10 ლიტრიანი	რუსეთი/ ELAMED	ცალი	2	170	340
10	სკელერი (ჩასამონტაჟებელი) ნათურით	ჩინეთი/ OSACADENT	ცალი	1	400	400
11	ბორმანქანის განათება ლედ ნათურით (10ცალიანი)	ჩინეთი/ OSACADENT	ცალი	1	600	600
12	სხივგამყარებადი სამკურნალო სარჩული (გრძელვადიანი)	ლიტვა/ I-dental	ცალი	1	40	40
13	სტერილური სველი სალფეტკი №100	გერმანია/ Shulke	ცალი	20	40	800
14	ვიზიოგრაფის სენსორის ერთჯერადი ცელოფანი №500	ჩინეთი/ OSACADENT	შეფ	2	50	100
					სულ	2935

ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე
შტაბის უფროსი

პაატა ციხადა გვრიტიშვილი

შპს „ფირსთ მედი"-ს დირექტორი

Rajden Phaitiants

Digitally signed by Rajden Phaitiants
Date: 2021.06.17 19:10:16 +04'00'

რაჯდენ ფაიტიანტი

ვადასტურებ, რომ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

შესყიდვების სამმართველოს უფროსი — გიორგი ჯაგაშვილი

ფინანსების მართვის სამმართველოს უფროსი — გიორგი მინდიაშვილი

აკადემიის ლაზარეთის უფროსი — თეა ლაზაძე

შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი — გიორგი კუთხაშვილი